...ტამბა და რედაქცია
...ფილისი, სასახლის ქ.,
...-აზნაურო ქარვასლა

...-მოწერნი გაზეთის დასაკვე-
...მიმართოვენ რედაქციის დილის
9 საათიდგ და საღამოს 6—7
...ფ. ქ. სახ.“ წიგნის მაღაზიას.

...-მოუწერავ წერილებს რე-
...დაქცია არ ბეჭდავს.

...-პირ მოლაპარაკება რედაქ-
...რთან შეიძლება ყოველ დღე.
ტელეფონი № 363


# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა


გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის
თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ
გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели“
Тифлисъ, Дворцовая ул. д.
Дворянства.
Телефонъ № 363



წლის დამლევამდე
...აზეთი „ცნობის ფურცელი“
ღირება 4 მან. და 50 კ.,



...ატალია და გიორგი თხილაძენი, გულითადის მწუხარებით
...უწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებას, პირველი
საყვარელის ქმრის და მეორე ძვირფასი მამისა

...ივანე ნიკოლოზის ძის თხილაძისა

და სთხოვენ მობრძანდნენ შაბათს, 24 აპრილს, ალექსანდ-
...ე ნევსკის ეკკლესიაში (კუკიაში).



ტელეფონი 648.

ორთქლით მომუშავე სტამბა

ექვთიმე ი. ხელაძისა

ლორის-მელიქ. ქუჩა № 64, ქაშვეთის ეკკლ. ახალ შენობაში.
(არსებობს 1873 წლიდამ).

ტელეფონი 648.

სტამბამ ახლათ მიიღო: ახალი სისტემის ორთქლით მომუშავე
...ეჭდავი მაშინა დიდი ზომისა, მოწყობილი სათვლელი და საჭრელი
...ომატიური აპპარატებით.
მიღებულია ახალი შრიფტები ჰ. ბერტჰოლდის ასოთ-საჭრელი-
(ბერლინში) ყოველნაირი ზომისა და სახისა.
მომუშავეთა რიცხვი შევსებულია დახელოვნებული ოსტატებით.
...კისრულობს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს. ბეჭდავს ყველა ედ-
...ობრივი, რუსული და უცხოეთის ენებზე წიგნებს, ბროშურებს,
...ნკებს, იარლიკებს, პლაკატებს, განცხადებებს, აფიშებს, სადარბა-
...ბარათებს და სხვ. და სხვ.
საქმის ასრულება დროზედ, სუფთად და ყველასთვის ხელმისაწვდომ-
...თ. ტფილისის გარეშეთ შეუძლიან მოგვმართონ ამ ადრესით: Въ
...ифлисъ, Типографію Е. Хеладзе. (50—22)



...კურნალო და ამბულატორია

...ბ. თოფურიასი

ქუთაისში.

...ურნალოში 50 საწოლია ავად-
...ყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფ-
...მინაგანისა, ნერვების, საქირურ-
...ოვალისა და დედათა ავადმყო-
ფობისანი,
...ამდებ სენით ავადმყოფნი არ
მიიღებიან.
...მყოფთ სინჯავენ დილის 11
...იდგან ნაშუადღევის 3 საა-
...დე. შინაგან და ნერვების ავად-
...ოფობას სწამლობს ხ. ბ. თო-
...რია. საქირურგო ავადმყოფობას
სიფილისს ფ. კ. ზირრატი.
...თა ავადმყოფობას მკურნალი
...ქალი მ. თ. კოგანი.

თვალების ავადმყოფობას—ი. ძ.
ვარშავსკი.
ამბულატორიასთან არის კაბინეტი
საექიმო და საბაქტერიოლოგიო
გამოკვლევისათვის, ელექტრონით
წამლობისათვისა და მასაჟისთვის.
სამკურნალო დირექტორი ხ. ბ. თო-
ფურია
*Лѣчебница В. С. Топурія* въ Кутаисѣ


## კანონი და მთავრობის განკარგულებანი.

თავისავე თხოვნით სამსახურიდან დათხოვნილ იქმნა: ხოსავ-იურტის ოლქის მესამე ნაწილის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელი პორუჩიკი თავადი ყაფლანიშვილი შტაბს-კაპიტანის ხარისხითა და მუნდირით.

დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან აგრეთვე ბორჩალოს სამაზრო პოლიციის სამმართველოს საქმის მწარმოებელი თავ. ბარათაშვილი.

მისი იმპერატორებითი უმაღლესობის დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელობის კავკასიის გრენადერთა საარტილერიო ბრიგადის უფროსი გენერალ მაიორი თავადი ხიმშიაშვილი დანიშნულ იქმნა კავკასიის 1 ჯართა კორპუსის უფროსის თანამდებობის აღმასრულებლად.

ებოძა: სამსახურის წელთა შესრულებისა გამო ტიტულიარნი სოვეტნიკობა კავკასიის სამხედრო ოლქის საინტენდანტო სამმართველოს სტოლის უფროსის თანაშემწეს კოლეჟსკი სეკრეტარს თავ. ერისთავს.

დანიშნულ იქმნა: თანამდებობაზედ საგუბერნიო მმართველობის საქმის მწარმოებელის თანამდებობის აღმასრულებელი კოლეჟსკი სეკრეტარი ნახნაშვილი.

დანიშნულ იქმნა: სიღნაღის მომრიგებელ მოსამართლის მდივნის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლათ ამავე მომრიგებელ მოსამართლის კანცელარიის მოხელე ჩხიკვაძე

## ახალი ამბავი

⁂ ახალი გუბერნატორის ჩამოსვლა. როგორც გაზ. „კავკ.“ იუწყება, ახლად დანიშნული ტფილისის გუბერნატორი პოლკოვნიკი სვეჩინი უნდა ჩამოვიდეს ტფილისში ორშაბათს 25 აპრილს. გუბერნატორთან ერთად ჩამოვა აგრეთვე მთავარ-მართებლის მეუღლე კნეინა მ. ფ. გოლიცინისა.

⁂ ყოვლად სამღვდელო ეგზარხოსი ფლაბიანეს გამგზავრება ფოთსა და ბათომში. როგორც ამბობენ ამ თვის დამლევს ყოვლად სამღვდელო ეგზარხოსი გაემგზავრება ბათომში და ფოთში.

⁂ სამტრედიის შემნახველ-გამსესხებელი კასა. როგორც გაზეთი „ნოვ. ობ.“-ე იუწყება, სამტრედიის მოვაჭრეთა და მცხოვრებთა თხოვნა მიუციათ სადაც ჯერ არს, რომ სამტრედიაში დაარსდეს შემნახველ გამსესხებელი კასაო.

⁂ საოლქო სასამართლოს განყოფილება სიღნაღში. დღეს სიღნაღს გაემგზავრა საოლქო სასამართლოს განყოფილება ბ-ნი პარჩევსკის თავმჯდომარეობით, წევრი პადალკა და პროკურორი ტარსაიძე. განყოფილება დარჩება პირველ მაისამდე; გასარჩევად 15 სისხლის სამართლის საქმეებია.

⁂ სახალხო წარმოდგენები ავჭალის სასადილოში. დღეს, შაბათს საღამოს, ავჭალის სასადილოში წარმოდგენილი იქნება ქართულად „დაძმა“ ვ. გუნიას დრამა, ხვალ დილით სომხური წარმოდგენა „ხათაბალა“ სუნდუკიანცისა და საღამოს რუსული წარმოდგენა.

⁂ კუკიის ქალაქის სამკურნალო. ხვალ აკურთხებენ კუკიის ქალაქის სამკურნალოს, რომელიც იმყოფება ალექსანდრეს ქუჩაზე ვალერიან მელკუმოვის სახლში.

⁂ რომელ კუთხიდან უფრო გამოდიან ქართველი მუშები? ჩვენი ქალაქები რომ გადავათვალიეროთ და ზედ დაურთოთ ოდესამდის მიმოფანტული ნავთსადგურიანი ქალაქები შემდეგს შევნიშნავთ: ერთ თუ მეორე ქალაქში ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან არ მიდიან სამუშაოდ, ე. ი. ერთს თუ მეორე ქალაქში ვერ შეხვდებით იმერელს, ქართლელს, მეგრელს, გურულს, რაჭველს, კახელს და სხვათ. მართალია ტფილისში ამ აზრის ცოტათი წინაალმდეგ სურათს ნახავთ, მაგრამ აქ ხომ ქართველ-კახელებთან იმერლები მიდიან. სამუშაოდ როგორც ვხედავთ—ქართველი თავის სახლის ახლოს, ტფილისში მიდის. იმერლები, გურულები, მეგრელები და რაჭველები, განსაკუთრებით პირველნი (იმერელ-გურულნი) შორდებიან არა თუ თავის მაზრის საზღვარს, არამედ ამიერ კავკასიასაც. რუსეთში სამუშაოდ წასულნი სულ იმერელ-გურულ-მეგრელები არიან. ამათ შორის რიცხვით პირველი ადგილი იმერლებს უჭირავს, მეორე გურულებს და მესამე მეგრელებს. სხვებს, ე. ი. აღმოსავლეთ საქართველოს მკვიდრთ რუსეთში სამუშაოდ წამოსულთ ვერ შეხვდებით ვერ შეხვდებით აგრეთვე ბათუმ,

ფოთ-ქუთაისში და საზოგადოდ დასავლეთ საქართველოში. ქართველები თუ ტფილისის გარეთ ბაქოსკენ მიდის (ისიც მეტად მცირე რიცხვი), დასავლეთელნი ქართველნიც მიეშურებიან აქეთ და უკანასკნელთა რიცხვი იქაც აღემატება პირველებს.

ასეთი განსხვავება არც სიზარმაცით აიხსნება, არც ფულის შოვნის სურვილ-მისწრაფებით, არც ჯანმრთელობით და არც სიყოჩაღით. აქ სულ სხვა რამ მოქმედობს, სულ სხვა რამ ატრიალებს ჩარხს. ეს დამალული ძალა ჩვენ არ გამოგვიწვევია, იგი თვით ისტორიულმა მიმდინარეობამ შექმნა. ეს გახლავთ ეკონომიურად ხალხის დაქვეითება, უკიდურესი მდგომარეობა, მოთხოვნილებათა ძალის სიმწარე, დაქვეითება და მიწის სიმცირე, არ ქონა. სადაც ეს პირობები იჩენენ ძლიერებას, სადაც ესენი ზრდიან წყლულს, იმ ადგილებიდან უფრო ეტანებიან გარეთ მუშაობას. არ უნდა სხვაგან წასვლა სამუშაოდო—ამის თქმას ადგილი არ უნდა ჰქონდეს, ტყვილა კი არ ამბობს ხალხი: „გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო“. სადაც ეკონომიური გაჭირვება ამოჰყოფს თავს, იქ ან წუთისოფელს უნდა გამოესალმო ან ცხოვრებისთვის საშუალებას დაუწყო ძებნა. თუ უკანასკნელს ახლო ვერ იპოვით, შორს უნდა მოძებნოთ. ასეთია ცხოვრება და მისი სასტიკი კანონები. ამ მიზეზების წყალობით მიმოფანტულან დასავლეთ საქართველოს მკვიდრნი რუსეთში და ჩვენში, რომელნიც შეადგენენ ქართველ მუშათ ორ მესამედზედ მეტს. ჩვენის აზრით, რასაც ვაფუძნებთ არსებულ პირებზე,*) დასავლეთი საქართველო უფრო გაჭირვებულ ეკონომიურ მდგომარეობაშია, ვინემ აღმოსავლეთი ნაწილი ამირ კავკასიისა და ამიტომაც—როგორც ვთქვით—მიეშურებიან აქედან სამუშაოდ შორე თუ ახლო. ქართველ მუშებზე ლაპარაკი მჭიდროდ არის შეკავშირებული დასავლეთ საქართველოს ეკონომიურ მდგომარეობასთან. ამათ თუ ერთმანეთს დააშორებთ—ვერას გაიგებთ. ამ წერილში საგანს საერთოდ ვეხებით, მომავალში შეიძლება უფრო ვრცლად და დაწვრილებით ავხსნათ და გამოვარკვიოთ.

ამ გვარად ქართველი მუშები როგორც ჩვენში, აგრეთვე რუსეთში სამუშაოდ განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოდან მიდიან.

*) რადგან მკითხველი „მოამბეს“ უფრო იშოვნის, ვთხოვთ ამა წლის თებერვლის ნომრის «შინაური მიმოხილვა» გადაათვალიეროს.
გ. ბ.

*** **ს. უდე** (ახალციხის მაზრა) **მამასახლისის არჩევა.** აგერ ეს ერთი წელიწადია ორ-სამმა მოსახლე ქრისტიანმა რამდენიმე თანადორი შეინახეს, მეზობელ მაჰმადიანებმა ძალიან იწყინეს და 4 მარტს მამასახლისის არჩევა იყო დანიშნული, დაასახელეს ერთი ქრისტიანი და მეორე მაჰმადიანი მამასახლისად და ამ ფანატიკოსთ მაჰმადიანებმა საკვირველად ჯიბრით იშვირეს პირი და სულ მაჰმადიანის მხარეს გაირჩნენ, მაგრამ მაინც ბევრად სამჯობინოა, რომ კიდევ მთავრობის მიერ დაყენებული ყოფილიყო მამასახლისი, თუმცა ჯამაგირს მეტს იღებს, მაგრამ მაინც საქმე'ს წესიერად აწარმოებს და გლეხებისაგანი კი საქმის წესიერად მართვის გარდა ისე გაპუწვავს უვიც ხალხს, რომ ჩინოვნიკის ჯამაგირს გადააჭარბებს.

— **მცხოვრებნი გვარტომობით.** ეს სოფელი სახაზინოა და აქვს მიწა 700 დესეტინამდე, სცხოვრობს მოქალაქე და მოვაჭრეებით 2,000 სულამდე, მცხოვრებთა მომეტებული ნაწილი ქართველ-კათოლიკენი არიან, დანარჩენნი კი მაჰმადიანები. საქონლის საძოვარი თითქმის სულ არა აქვთ და გაზაფხულიდანვე გარშემო სოფლების მებატონებისაგან ფულით ბილეთს იღებენ და იმათ ადგილებში აძოვებენ, თიბათვის ნახევრიდან საქონელი მიჰყავთ საიალაღოთ ფეიზულა-ბეგ ათაბაგის მთაზედა.

— **შეძლება.** მოდის პური, ქერი, სიმინდი და კარტოფილი, მოსახლე 250 მცხოვრებია და ამათში ძლივს 5 მოსახლე გამოირჩევა, რომ პირნახული მოიჭარბოს და გაყიდოს, ოც მოსახლესაც ძლივს რომ წლის თავამდე გაჰყვეს და დანარჩენი კი საზოგადოთ პირველ გაზაფხულიდანვე იწყობენ პურის ყიდვასა და ისე სცხოვრობენ.

— **ხეხილის სენი.** ეს რამდენიმე წელიწადია, რომ ბაღებში ქლიავის მოდგმას რაღაც სენი შეხვდათ, რომელიც ახალციხიდან წყლის პირს შემოყოლებით მოედო და გაზაფხულიდანვე წვრილ მწვანე ტილივით დაასხავს, მერე ხეს სოკოსავით შეახმება და ერთიანად ხეს თავის მცირე ნაყოფით აშავებს, ამათში რომლებიც ბებერი ხეები იყვნენ გახმნენ და ახალ მოზარდები კი გამობრუნდნენ და მსგავსადვე კართოფილსაც რაღაც სენი შემოეჩვია, მიწაში კარტოფილი ჰქნება და მასთანვე ღეროც ხმება და ვარდება, გავლილათ წინა წლებში კარტოფილი ძალიან ვარგობდა და ერთ გლეხს რომ თავისი მამულის ნახევარი დაეთესა, 300—700 ფუთამდე მოუვიდოდა და ფასობდა ფუთი 25–40 კაპიკამდე და ახლა კი 30 ფ. რომ დათესოს 50 ფ. ძლივს ამოიღებს. და ბაღებსაც ორ წელიწადში ერთხელ ხილი ძლივს გამოაქვს ხოლმე, გაზაფხულიდან შესცივდა და ყვავილი დააყრევინა, ამასთანავე სეტყვამაც გაართხრა ხილი თუ პირნახული.

— **მევახშეობა.** ამ მოუსავლობამ ის გამოიწვია, რომ გარეშე სოფლელი მაჰმადიანებისაგან ფული სესხად აეღოთ, მერე რანაირად? აქ კანონიერ სარგებლად ითვლება ვითომ თათრული ფულის სარგებელი 24%, ესე იგი ერთმა რომ ასი მ. ისესხოს, ვექსილს საზოგადოთ ამნაირად სწერენ: ხსენებულ ას მანეთზე მოვლენ კიდევ 24 მ. და დასწერენ ერთი წლის ვადით უსარგებლოთ. წელიწადი შესრულდება თუ არა, გაჭირვებულმა კაცმა ძნელად რომ ეს უსამართლო ფულის სარგებელი მისცეს, მაშინვე უანგარიშებს 124 მან. სარგებელს და კიდევ გაუახლებს ვექსილსა, ასე რომ მეოთხე წლის შესრულებამდე 1,000 მ., მოვახშეს 2,000 მ. უხდება. გარდა ამისა პირველში ფულის მიცემამდე ქრთამს უნდა შეჰპირდეს, ვექსილის ქაღალდისა და რაც მის 'დასაწერად და ბეჭდის დასასმელი ხარჯი უნდა გასწიოს ხოლმე, ისიც ზედ მეტი, ამ უსამართლო მევახშეობამ უიმისოდაც გაწბილებულ საწყალ ხალხს ლამის სული ამოერთვას, კარგი იქნება ამ საქმეს ყურადღებას მიაქცევდნენ ვისიც ჯერ არს, და გადაარჩენდნენ სამუდამოთ დაღუპვისაგან, ასე რომ თითქმის ეს სოფელი მევახშეობის ცხიმით არის მრთლად გაჟღენთილი.

სინკო

*** **პატარა ლიახვის ხეობა ხალხის ცრუ-მორწმუნეობა და ჩვეულებანი.** პატარა ლიახვის ოსებმა ხომ იცან ათას ჯურა თავიანთებური უქმეები, მაგრამ არც ამ მთის ქართველებს აქვთ ნაკლები თავიანთებური უქმეები, რომელიც მიღებული არა აქვს წმინდა ეკკლესიას.

მაგალითად: თაროს ანგელოზობა, იგივე ქათმის ანგელოზობა, ჩიტი ფაფობა, დამწვრის უქმე, რჩილის უქმე და სხვა...

გაზაფხულზედ ყველა ოჯახი აარჩევს ერთ წითელ სამამლე წიწილას; მოსჭრიან ერთ თითს და ლოცვით დაუყენებენ ზვარათ თაროს ანგელოზს; ეხვეწებიან ქათმისა და თაროს ანგელოზო, შენ გვიმრავლე ქათმებიო, ნუ მიაკარებ ნურა ვითარ ვნებასაო შემდეგი წელისთვისაც დაგიყენებთ ზვარასაო, ქათამს ასუქებენ ხორციელის ხუთშაბათამდისინ. ყოველ მწევრს ოჯახისას განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული ამ ქათამზედ, როგორც საქმ-

ლის მიცემის დროს, ისე სხვა მ
თხვევაში. რაკი ანგელოზის
მალს დააყვერულებენ, დაუწყებ
სიმინდის ცომით სუქებას, გ
დორ ქვეშ დამწყვდეულს. ერ
კვირა რომ დარჩება დაკვლამდ
მაშინ დასორროლებულ სიმინდ
ცომს ძალათი უდებენ პირში
აყლაპებენ; ისე გასუქდება
რული, რომ ძლივსღა მოძრაობ
ხორციელის ხუთშაბათს სადამ
მთელი ოჯახი შეიკრიბება ერთა
მამაკაცები ქუდ მოხდილები წ
გებიან წინ თაროსთან; დედ
ცები უკან უდგანან; მათ მისდ
ბავშვები. სახლის უმფროსს მ
კაცს ხელში უჭირავს მსხვერპლი
სამჭრელო; წინ მიუძღვის ყველ
დაიჩოქებს და ევედრება ხმა მ
ლა: თაროს ანგელოზო! შენ
ვედრებით და გეხვეწებით, გ
რავლე წვრილფეხი და ფრინვე
დაგვასწარ მთელი ოჯახი მო
ლისთვის სიცოცხლით და სიმ
ლით, რომ შემდეგისათვისაც
სახუროთ“. ამასვე იმეორებს
ნარჩენი მწევრნი ოჯახისანი. ლო
ვის შემდეგ თაროს წინვე დაჰკ
ვენ ყვერულს. ბუმბულს შუა ც
ლში ჩაჰყრიან; კარში არ გათ
რიავ, ანგელოზი იწყენსო.
სახლისი გამოაცხობს სამ პატ
ხელის გულის ოდენა კვერს,
ლავაშს, სამ პატარავე ქადას.
ყველაფერს დაალაგებს ხონჩაზ
ზედ დასდგამს ჯამით წყალს;
დნარ ერბოში მოუკიდებენ
რუქ; ამოიღებენ მიწიდგან,
ხულში დაფლულს, ამავე ა
ლოზისთვის შენახულ ერბოს
დასდგამენ ხონჩაზედ; ააჭრიან
რა ქათამს ყველა მარჯვენა ნ
ლებს, დაალაგებენ ხონჩაზედ
იმავე ლოცვით და ვედრე
მიაქვთ თაროში. მსხვერპლი
ლამომდინ იქა სდგას და როდ
მამაკაცები და ბავშვები კ
გავლენ დედაკაცები შესჭამენ
მოლად. ამათი აზრით, არამც
შეჭმა ანგელოზის ტაბლისა
ძლიანთ მამაკაცებსა და ბავშ
როდესაც დედაკაცები სჭამენ
დაინახეს, ან დაბრმავდებიან
ან ისეთი თვალების ავად
ფობა დაემართებათ, რომ
დღეში აღარ მორჩებიან. 2)
მარხვაშიაც არ მუშაობენ.
ვერ დაიბარცხნიან, ვერც ფ
ლებს დაიჭრიან, შუაზედ დ
ოფებიანო. 3) ყველივრის ო
ფათსაც არას აკეთებენ, ჩ
ყანას შეგვიჭამენო. ამ დღეს
ლი ოჯახი მოგროვდება შუ
ცხლთან, დიასახლისი შემოს
ქვაბით წყალს და მოუკიდებს
ლნელა ფქვილს; როდესაც
მზათ არის, ერთ-ერთი ბავშ
მოვა გარეთ, ავა დარბაზის
ედ, ჩაიხედავს

ჩასძახებს: „დედავ, დედავ!
აკეთებ“? დედა „ჩიტი ფაფა-
. ბავშვი. ჩიტები აქ სადარი-
დედა. „ლამიყანასო“. მაშინ
მეს გამოუტანენ ფაფას ოთხ
ოტზედ დაგლესილს, ისიც ამ
ას ჯვარედინად დაალაგებს
ოზედ და ეხვეწება ჩიტებს:
ეამ ფაფა გაგიკეთად, ესა სჭა-
და ჩვენ ყანას ნუ სჭამთო“.
შემდეგ მთელი ოჯახობა შეე-
ვა ჩიტი ფაფას ცეცხლპირსა-
4) თაგვის უქმეში მხოლოდ
ები არ მუშაობენ. ბავშვებსა
ქალებს უჭირავთ ჯოხები, და-
ნ ყოველ კუთხეში დარბაზისა,
ლისა, სცემენ ჯოხებს პურის
ერებს, უჩხაკუნებენ ყუთებსა
კიდობნებს უკან, იძახიან ყვე-
ნი: „თაგო, თაგო გამოდი! ან-
ოზო შემოდი!“ მისდევენ მი-
მ თაგვებს უკან, წაიყვანენ სო-
ლ გარეთ თაგვებს; თან მიაქვთ
შვებს წინათვე დამზადებული
რები თაგვებისათვის და სადამ-
აც მირეკვენ თაგვებს, სწორ-
იმ ადგილას შეექცევიან ბავშვ-
კვერებს. იქ დასჭრიან ბავშვე-
ეკლებს, მოიტანენ სახლში;
ოო დიასახლისი ამ ეკლებს გა-
თებს კარების ჩარჩოში, დააწ-
ს პურის გოდრებზედ, პურის
ის თაბახზედ, აიტანს ბანზედ
ერდოსყელზედ ჯვარედინათ
აწყობს ორ ასკილის ეკალს.
ებში ვეღარ საიდგან შემოვლ-
. 5) რჩილის უქმეში ოჯახის
რები დილით ერთმანეთ ხმას
გასცემენ. ყოველი მათგანი
ადგება, უნდა აიღოს ცო-
გენი მატყლი, ან მატყლის
ტი, შესდებს კედლის დარა-
და ეუბნება! „ჩვენს ტანისამ-
ხელი არ ახლოვო, ეს იყოს
წლის სარჩო“, უჩვენებენ
ლზედ. ამ დღეს სადაცკი ტა-
მოსი ალაგია, არ გაალებენ. 6)
ალებლამის დღეს, შუადღის
არას აკეთებენ. ხორც შესჭა-
ვლებ ერთ ერთ ბავშვს გაშლილ
ს კალთაში უყრიან თვითეუ-
წევრი და ეუბნებიან, „ეს
ი მგელს, ჩვენ საქონელს
ას ერჩისო“ მეორე ამბობს:
მელას, ქათმებს ნურას ერჩი-
მესამე: „ეს დათვსა, სიმინდი
წაახდინოსო“ და სხვა... ბავშ-
გადაჰყრის ძვლებს და ამასვე
რებს, რაც უმფროსებმა უთხ-
ამ ნაირი უქმეები კიდევ
ლი აქვთ. იმედია, ახლად
ილი აწერისხევის სკოლა
ტკიცებს ხალხსა, რო სრუ-
საკმარისია, ვიუქმოთ და ვი-
ოთ ღმერთი იმ დღეებში,
ლიც წმინდა ეკკლესიამ დაგ-
სა. დანარჩენ დღეებში მოც
ცოდოა. მით უფრო იმედია,
ჩემის ნადასწრებით, ერთი
აწერის ხევის სკოლის შეგირდი უმტკიცებდა თავის ოჯახს, რომ ნამდვილი უქმეები ისე არა გწამთ, როგორც ჩიტიფაფობაო.

მართალაძე

*** **ს. ხიდისთავი** (გურია). ტყუილი ცნობების გამო. „მეტის-მეტი ხეი-ხეი ხარს უკუღმა წაიყვანსო“ ამბობს ერთი ქართული ანდაზა და აი სწორედ ასე მოუვიდა ჩვენს ხიდისთავსაც. სამი წელიწადია რაც ხიდისთავმა მოჰკიდა სწავლა-განათლებას ხელი, მას აქეთ ვერ ნახავდით ისეთ ქართულ ჟურნალ-გაზეთებს, რომ არ ეწეროს ხიდისთავისადმი ქებათა ქება. და აი სწორედ შეუსაბამო ქებით ხიდისთავმა შიგ ქე დაიძინა სრულიად. მაგალითად: აგერ ეწერა ერთ გაზეთში: „ხიდისთავმა შესტოპა სწავლა-განათლების მორევში“; აგერ—მეორეში: „ხიდისთავში შეხეთქა ცივილიზაციამ კარებიო“! აგერაც კიდევ—მესამეში: „ხიდისთავში გაიდგა ღრმად სწავლა-განათლებამ ფესვებია და სხვა. არა, ბატონებო, გარწმუნებთ, რომ ხიდისთავში შეაჰყიტა პაწაწკინტელა სწავლა-განათლების სხივმა და ეს კი ხიდისთაველებს საკმაო ეგონათ.

სუფსისპირელი

# საგულისხმოდ

**ლოთობის სამწუხარო შედეგი*)**

ლოთობა რომ საშინლად მოქმედობს ფსიხიურ ავადმყოფობაზედ ეს დიდი ხანია რაც დამტკიცებულია ყველა ევროპის სახელმწიფოებში, სადაცკი „ფსიხოლოგიური ზავედენიებია“ მაგალითად, შეერთებულ შტატებში (ამერიკაში) ლოთობა ამ უკანასკნელ დროში შეადგენს ერთს უმთავრეს ეტოლოგიურ მომენტს გიჟების და სულელების გავრცელებას, ამ ანგარიშში ნაჩვენებია აგრეთვე ყოველ ჰქვაზედ შეშლილი-შეცდომის მიზეზებიც, რომლიდგანაც ცხადათა სჩანს, რომ მეექვსედი წილი ლოთობისაგან წარმომდგარა, გარდა ადამიანის პირადობაზედ ლოთობა თვით მემკვიდრეობაზედაც გადადის შვილი-შვილზედ, მგზავსისაგან მგზავსნი იბადებიან. რუსეთის ფსიხოლოგიურ ზავედენიების ანგარიშებს გვიჩვენებენ ამ უკანასკნელ წლებში, რომ მეექვსედზედ მეტია შეშლილთა რიცხვი ლოთობისგან, მაგალითად, რუსეთში ყველაზედ მეტი ლოთობა იწყობა ხოლმე შემდეგ დროს: პირველი როცა მიწის მოსავლის მუშაობას მორჩებიან ხოლმე და მეორეც ქრისტეშობის დღესასწაულებში ასე, რომ ღვინობისთვიდგან დაწყობილი იანვრამდის, საზოგადოთ რუსეთში მაგარ სასმელებს დიდი გასავალი აქვს. როგორც დაბადების სტატისტიკურ ცნობებიდგან სჩანს სამწუხაროდ აი სწორეთ ამ თვეში ყველაზედ მეტი ისახებიან ანუ ორსულდებიან რუსეთში და აშკარათა სჩანს ამითიც ლოთებთა ჩამომავლობის სიმრავლეო. ამგვარათ დაბადებითი საქმე რუსეთში ყველაზედ ცუდს მდგომარეობაშია ჩავარდნილი შედარებით სხვა-და-სხვა რომელსამე ევროპის სახელმწიფოებთან. გარდა ამისა ესეც უნდა შევნიშნოთ, რომ რუსეთში სრულებით არც-კი იციან ზომიერად განაწილება მაგარი სასმელების სმის დროს ოჯახის წევრებზედ მამათა და დედათა სქესის შესაფერათ, ანუ ხნის კვალობაზედ როგორადაც ეს ევროპაში იციან, თუ ვინ რამდენი უნდა დალიონ ვარაუდით, ამას მშობიარობის დროსაც კი არ არჩევენ რუსეთშიო. ამ პირობებში ჩაყენებულთა, აბა რასაკვირველია, რომ მათი ჩამომავლობა მათივე სენით იყვეს შეპყრობილიო. პარიჟის „იდიოტთა საავადმყოფოს“ დირექტორის მიერ მოყვანილი ცნობებიდგან სჩანს, რომ 1000 სულელი შვილები, რომლებიც მიუღიათ 1880 წ.ვიდრე 1890 წლამდის, ნახევარი მათგანი ან ლოთი მამებისაგან ყოფილან და ან დედებისაგან ჩამომავალნი. რადგანაც რუსეთში არ არსებობს „სულელებთათვის ზავედენია“ ამიტომ არც მათი ნამდვილი ცნობები გვაქვს ხელთ, მხოლოთ ისეც ადვილათ შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ, რომ რუსეთში ამის მხრივაც სხვებზედ თუ არ მეტი, არა ნაკლები ადგილი უჭირავს შედარებით სხვებისა. საზოგადოთ ლოთობისაგან როგორადაც სხვა-და-სხვა ფსიხიური ავადმყოფობა აგრეთვე შეშლილობის და სისულელის უმთავრესი მიზეზთაგნათ უნდა ჩაითვალოს ერთის მხრივ სწავლა-განათლების საქმეც, სახელდობრ ხალხის ხასიათების უთანასწორობა, რომელიც ამ ჟამად შეადგენს მსწავლულთა გამოკვლევას. ამ ჟამათ გამოკვლეულია და დადგენილი, რომ ყოველი ლოთი ადამიანის ხასიათი იცვლება ხოლმე და ამ დროს ყოველგვარი გრძნობა უმხეცდება, მისი მაღალი გრძნობა თავმოყვარეობა უმდაბლდება, უფუჭდება, მისი სიამოვნებითი გრძნობა, რალაც უგუნურ მასხარულ სიცილ-ხარხარს იწვევს ხოლმე, წრფელი სიყვარული და ალერსი უსიამოვნო და უსირცხვილო უნამუსობაზედ შეიცვლება ხოლმე და თვით გარეგნულადაც იგი ბინძურდება ამდროს და ნადირულათ იქცევა და არ იცის როგორ უნდა გამოვიდეს ამ უსიამოვნო მდგომარეობიდამ. ყოველი ასეთი ხასიათების შეცვლა ხშირათ იქამდისინ მიიყვანს, რომ ავაზაკობასაც ადვილათ სჩადიან ხოლმე. ყოველ ამ მავნე სენის მოსასპობლათ, რომელიც მსწავლულთა გამოკვლევით ყველაზედ საშიშარ სენათ ჩაითვლება კაცობრიობისათვის. აუცილებლათ საჭიროა ყოველი ღონის ძიება მიიღონ, არა თუ კერძო საზოგადოებებმა, არამედ მთელმა სახელმწიფოებმა და ქვეყანამ. ამ სენის მოსასპობლათ საჭიროა ხალხში წერა-კითხვის ცოდნის გავრცელება რაც შეიძლება ჩქარა, სახალხო გასართობების გამართვა და ისეთი საზოგადოებების დაარსება ყველგან, რომლებიც უნდა უქადაგებდნენ ხალხს მის მავნებლობის მიზეზს და ამასთანავე თვალ-ყური უნდა ადევნონ მათ ყოფა-ცხოვრებას. აი ამეებით შეიძლება ცოტ-ცოტათ და თან და-თან გადააჩვიონ ამ ხსენებულ დამღუპველ სენს შეჩვეული ხალხიო.

შაქრო ვაჩნაძე

# ვაზის წამლობა*)

**რითი გვიჯობს ვუწამლოთ ვაზის ობსა და შავ ჭორს?**

ვუძღვნი ძვირფას მშრომელს და დაუვიწყარ მასწავლებელს ბ. არჩილ დარეჯანაშვილს (Мильдю и блэкротъ) ავტორისაგან.

ნ. ქანგაროს ანუ ორ-საფუძვლიანი ძმარმაგავი სპილენძის სითხე. ჩვენ აქ დავინახავთ თუ ქანგაროს განსაკუთრებითი თვისებანი როგორ აკმაყოფილებენ და არიან სწორედ ის თვისებანი, რომლებსაც თხოულობს ზემოხსენებული პროგრამა.

როცა დაალბობენ საკუთრად მას, ქანგაროს, წყალში მიიღება ერთგვარი სითხე, რომელიც შეიცავს:

1. ფშვნილ ლურჯ ქანგრს სპილენძისას.

2. არავითარ გოგირდმჟავს.

3. სპილენძის ლურჯ ქანგრს ხსნილს (ძმარ-მჟავის მორფით), რომელიც დაკრისტალიზდებარა სპილენძის ფშვნილს ლურჯ ქანგრთან ერთად, ხდის მას წებოვანად და სრულიად მიმკრობად.

ეს შენაზავი არამც თუ არ შეიცავს გოგირდმჟავს (რის მიზეზითაც რამოდენა დიდი დოზითაც უნდა იხმარონ იგი თავისდღეში დაწვა არ შეუძლიან), არამედ მისი სპილენძის ფშვნილი ლურჯი ქანგირი გარდაქცეულია მიმკრობად თვით სპილენძის ქანგრითვე ე. ი.

*) იხ. «ცნ. ფურც.» № 802.

*) იხ. «ცნ. ფურც.» № 802.

ძმარმჟავით იმ გვარად, რომ როგორც მიმკრობი, ისე მიკრული სხეულნი, ორივე წარმოშობილნი სპილენძისაგან, ორნივ მონაწილეობას იღებენ,ეჯიბრებიან და ხელს უწყობენ გადარჩენას, მაშინ როდესაც სხვა შენაზავებში მიმკვრელის როლი უკავია სხვა მარილებს და არა სპილენძისას.

მხოლოდ, და ეს ფრიად საჭიროცაა, რომ თუ გვინდა, რომ ქანგაროს შერჩეს ეს ასეთი თავისი ღირსეული საჭირო თვისებანი, უნდა ძალიან უფრთხილდეთ მასში არავითარ სხვაგვარ ნივთიერებათა შერევას, რანაირნიც უნდა იყვნენ იგინი: კირი, ბორავი, ამონიაკი, რომელიმე ნაცარტუტი, ქიმიურად იმოქმედებენ ხსნილი სპილენძის ლურჯ ქანგრის (ძმარმჟავის მორფით) დასაშლელად.

ნივთიერებანი კი, რომლებსაც არა აქვთ ქიმიური მოქმედება ამ ქანგრზე და რომლებსაც უმატებენ მიმკრობლობის ან ფერის მოსამატებლად და გასაძლიერებლად, როგორც მაგ.: ტალკი, სახამებელი, ქვლატონი, შაქარი და სხვა, პირიქით ამცირებენ ამ მიმკრობლობას, შლიან რა წებოვნებას ამ ორი ქანგრის კრებულისას. ამას გარდა ეს ნივთიერებანი უფრო ხიმძიმეს უმატებს ამ სითხეს, მხოლოდ ნამდვილად ბუნებითი კი იგი არის შეუდარებლად მსუბუქი და არც ილექება, თუ არა შემდეგ რამოდენიმე საათის განმავლობაში სრული დასვენება დადგომისა, მაშინ როდესაც სხვა სითხეები უმალვე ილექებიან. უნდა ერიდოს კაცი აგრეთვე ცხელ წყლის ხმარებას ამ სითხის გასახსნელად, რადგანაც შეიძლება ამით ლურჯი ქანგრის დაშლა და მის გარდაქცევა შავ ქანგრად, რომელიც უმოქმედოა ობის წინააღმდეგ.

ქანგარო, რომელიც უმოქმედოა ვაზის წინაღმდეგ. მაშასადამე, თუ კარგა დავაკვირდებით ყველა ზემორე თქმულს ცხადად დავინახავთ ქანგრის უპირატესობას ყველა სხვა დანარჩენ წამლებზედ და ამიტომ იმედია ჩვენი პატივცემულნი მემამულე,-მეურნენიც მიაქცევენ მას განსაკუთრებით ყურადღებას და მითი უწამლებენ (ან სცდიან მაინც) თავიანთ ძვირფას, მაგრამ დასენიანებულ და სიკვდილის პირამდე მიმდგარ როხებს, რომლებსაც ქართველებს უწველიან და აწოვებენ იმათ საყვარელ და ჰირსა და ლხინში აუცილებელ საჭიროება—ნუნუას. თუ რა გვარი (რადგან ქანგარო ბევრ-ნაირია) ქანგარო უფრო კარგია იხმაროს კაცმა, სად იშოვოს იგი, როგორ მოამზადეს თვითონ სახლში, როგორ მოამზადეს ეს წამალი და როგორ იხმარეს, ყველა ამაზედ ვრცლად და დაწვრილებით ჩქარა მოველაპარაკებით პატივცემულთ მკითხველთ და მსურველთ თანამოძმე-მემამულეთ.

გ. ლეხურელი

## ყურმოკრული საუბარი

—

ფოსტაში.

— რა გინდა ძამიავ? შეეკითხა მოხელე ერთს იმერელს.

— წერილი ხომ არაა მოსული ჩემის ბატონის სახელობაზე

— რა გვარისაა შენი ბატონი?

— წერილზედვე ეწერება, მე რადას მკითხავ?.

## რჩეული აზრები

—

✦ ბედნიერება ცოდნაშია და უბედურება უვიცობაში.

✦ ის უნდა ექმო, რაც არ ფუჭდება დროთა ვითარების გამო, რაც არ დაიპნევა, დაიკარგება და გაფუჭდება.

✦ რა არის აზრი თუ არ ცხოვრების მონა.

✦ სიკვდილი სიბოროტე როდია.

✦ თვალ-ყური ადევნე ხოლმე შენს თავს, ასწონ-დასწონე შენი ზრახვანი, შენ თვითვე იყავ შენი საქციელის ბრალმდებელი, მსაჯული და ვექილიც.

✦ ავ სულობა და აგულობა თვის თვალთმაქცობით ყოველივეს იმოქმედებს რომ სინიდისი დაიმონოს და პატიოსნება დაჩაგროს.

## წვრილი ამბავი

—

რა დროს უფრო კვდება ადამიანი? ამ კითხვას ბევრი მეცნიერები იკვლევდენ. ეხლა გამოცხადდა ფრიად საინტერესო გამოკვლევა ორის ინგლისელის ექიმისა. ცნობილია, რომ მთელს სამყაროზე ყოველ წლივ კვდება 30,000000 სული ორივე სქესისა—ყოველ წუთს ვისიმე სიცოცხლეს ბოლო ედება, ყოველ დღე ესალმება წუთის ცხოვრებას 80,000 სული. გამოკვლევიდანა სჩანს, რომ კაცი მომეტებულ შემთხვევაში კვდება საღამოს 4 საათიდან დილის 10-ს საათამდე, ხოლო უფრო ხშირად კაცი კვდება განთიადის 5-ს საათზე.

## თეატრალური ბიბლიოთეკა.

—

შემოწირული წიგნები. ლევან დავითის ძე ყიფიანმა: შექსპირის თხზულება ინგლისურ ენაზე სურათებით, სამი ტომი. მოლიერი ფრანგულს ენაზე სურათებით.

# სასარგებლო ცნობა

## ზნეობა და ჯანმრთელობა

კდ. მართლმსაჯულებისათვის. მშვიდობა საზოგადოებისა დამოკიდებულ არს მართლმსაჯულებასა ზედა, ხოლო ბედნიერობა მოქალაქეთა უშიშრად ფლობასა ზედა ნაქონებთა მათთა.

ამისთვის იყავნ წადილი შენი საზღვართა ზომიერებისათა და სურვილი შენი განაგე მართლმსაჯულებით.

ნუ შეიშურვებ ნაქონებსა მოყვასისა შენისა და სიგლახავე მისი, ვითარცა იყოს, ნუ იქნების შენგან შეურაცხყოფით.

ნუ გაგაფუჭებს განსაცდელი და ნურც აღძრვა აგადებინებს ხელსა სიცოცხლისა მოკლებად მახლობლისა შენისა და ანუ გაუპატიურებისათვის მისისა.

ნუ ჰყოფ მის ზედა ცრუ მოწმობასა. ნუ მოიბირებ მხევალსა მისსა, რათა არა მოატყუოს იგი და გმოვიდეს მისგან უფროსად: დაიცევ თავი შენი დაბრკოლებად მეუღლისა მისისა რათა არა მისცეს მიზეზი მწუხარებისა.

იყავნ წრფელ და თვნებელ ქცევა შენი ერთა თანა და მოიქეც მათთანა ესრეთ, ვითარცა გინდოდეს შენ ქცევა მათი შენთანა.

დაიცევ უცვალებლად ერთგულობა სხვათა და ნუ მოატყუებ მოიმედეთა შენთა; იყავ სარწმუნო, ვინაითგან მზაკვრება ქურდობასა და მტაცებლობაზედ უმწარესი ცოდვა არს წინაშე ღვთისა.

ნუ შეაჭირვებ საწყალთა და ნუ დაუჭერ ნურაოდეს სამუშაოსა მოქირავნეთა მუშათა შენთა.

ოდეს ვაჭრობდე, ითხოვე რჩევა სვინდისისაგან შენისა, იკმარე ოდეს საშუალო სარგებელი და ნუ იხმარებ სარგოსა შინა შენსა უმეცრებასა რაისაც ჰყიდდე.

(შემდეგი იქნება)

# დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»).

21 აპრილი

**რომი.** კაბინეტი სამსახურიდგან გადადგა.

**მადრიდი.** ოფიციალურ გაზეთში გამოქვეყნებულია საბოლოვოდ დამტკიცებულის სამშვიდობო ხელშეკრულობის პირი.

სამხედრო სასამართლომ დაადგინა, განთავისუფლებულ იქმნეს შამონი, რომელიც წარმოდგენის დროს თეატრში დააპატიმრეს.

**პარიზი.** სინგაპურიდგან დეპეშით ატყობინებენ „Herald“-ს, რომ პროვინცია ლუანგი საფრანგეთს გარდაეცაო.

ზნე-ხასიათის გამასწორებელ პოლიციის სასამართლომ „მამულისშვილთა ლიგის“ უმთავრესს მდივანს ლემენიეს 16 ფრანკი ჯარიმა მიუსაჯა. განაჩენის გამოცხადების დროს „ლიგის“ იქ მსწრე წევრებმა ხმაურობა ასტეხეს და ჰყვიროდნენ: „გაუმარჯოს ლიგას, გაუმარჯოს დერულედს, შორს ჩვენგან მოღალატენიო!“

22 აპრილი

**მოსკოვი.** ამ დღეებში აღმოაჩინეს დოკუმენტი პუშკინისა და გონჩაროვის ქალის შეუღლების შესახებ. ეს დოკუმენტი აღმოაჩინეს ამაღლების ეკკლესიაში, რომელიც ნიკიტის დიდს ქუჩაზე იმყოფება. ქორწინება მომხდარა 1831...

**პარიზი** „ტემპს“-ი ამბობს, რომ საკასაციო პალატას ამ ...ხელში აქვს ის ცირკულიარი მხედრო მინისტრისა, რომელიც გამოცემულია 1864 წ. 17 ... და რომელშიაც ნათქვამია, ... აფიცრები არ დაესწრობიან ...წლის ალლუმებსაო. მაშასადამე დრეიფუსი აგვისტოში, ბორდოში ვერ დასწრებოდა: „ალლუ...ზე უნდა წავიდეო“.

**რომი.** კაბინეტი იმიტომ დასდგა სამსახურიდგან, რომ ...დი საყვედური გამოუცხადეს ...ვარის ჩინეთის პოლიტიკისათ...


## განცხადებანი

# ექიმი

კ. მ. ჩიქოვანი

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 11—12-მდე და საღამოს 7-8 საათ.

მიხეილის ქუჩა, № 16.

Докторъ К. М. Чикован[и]

Михайлов., № 16.

!!მიაქციეთ ყურადღება!!

გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალოვის სახლებში

ამ ცოტა ხანში გაიხსნება

# ჩინეთის მაღაზია

ვინც ჩაის იყიდის იმას ნოგათად მიეცემა რამე ნივთი. ვინც იყიდის 12 მან. ჩაის თუნდაც სხვა და სხვა დროს, 2 მან. იმას